პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

25 აპრილი, სამშაბათი, 1989 წ. № 80 (9999) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## საქართველოს გამოჩენილ სპორტსმენთა და სპორტის ვეტერანთა მიმართვა აჭარის მოსახლეობისადმი

ჩვენო ძვირფასო დებო და ძმებო! განგებამ ისე ინება, რომ ბოლო წლებში ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობას ზედიზედ რამდენიმე უბედურება დაატყდა თავს. ვერ ვასწრებთ ერთი ჭრილობის მოშუშებას, რომ ახალი ტრაგედია გვმოსავს თალხით. იღუპებიან ადამიანები, იშლება ქართველთა მამაპაპისეული სამკვიდრო. მოუშუშებელი ჭრილობები ერთნაირად გვტკივა ყველას. სპორტსმენები და სპორტის ვეტერანები გულის სიღრმემდე შეგვძრა ახალმა ტრაგედიამ, რაც მთიანი აჭარის მოსახლეობამ განიცადა. მსხვერპლს მსხვერპლი მიემატა. ძნელი ასატანია ყოველივე ეს, მაგრამ ქართველი ხალხისთვის იმავე განგებას ხომ ჭირთათმენისა და „ჭირსა შიგან გამაგრების“ უნარიც უბოძებია. სხვანაირად ალბათ ფიზიკურად არსებობასაც ვერ შევინარჩუნებდით. სულიერი სიმტკიცე და მხნეობა გვმართებს ახლაც. დღეს ჩვენც თქვენს გვერდით ვართ, ძვირფასო დებო და ძმებო. თქვენი ტკივილი ჩვენი ტკივილია. ასეთ მწუხარებაში ძნელია მოიძებნოს გამამხნევებელი სიტყვები, ძნელია [illegible] ისევე, როგორც ძნელია [illegible] ქართველი ერი, მაგრამ იმედად ისევ და ისევ სიცოცხლის გაგრძელება, საკუთარი მიწა-წყლის სიყვარული, ერთმანეთის თანადგომა, მსოფლიო სარბიელზე ქართველი კაცის გენიისა და ენერგიის, მისი საუკეთესო თვისებების კვლავ და კვლავ წარმოჩენა გვრჩება.

მიიღეთ ჩვენი ულრმესი სამძიმარი, თქვენს გვერდით გვიგულეთ, კვლავაც ერთად გავუძლოთ განსაცდელს. გაძლება გვმართებს სიცოცხლისათვის, საქართველოს მარადიული უკვდავებისათვის.

საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის ვეტერანთა სახელით:

დავით ციმაკურიძე, მედეა ჯუღელი, გივი კარტოზია, მირიან ცალქალამანიძე, რობერტ შავლაყაძე, ნუგზარ ასათიანი, ვაჟა კაჭარავა, რომან რურუა, ვიქტორ სანეევი, შოთა ჩოჩიშვილი, რაფაელ ჩიმიშკიანი, ლევან თედიაშვილი, ქეთევან ლოსაბერიძე, შოთა ხაბარელი, ვახტანგ ბლაგიძე, ნინო სალუქვაძე, დავით გობეჯიშვილი, ვლადიმერ გოგოლაძე, ვლადიმერ აფციაური, გელა კეტაშვილი, ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე, ელენე გოკიელი, ბორის პაიჭაძე, გაიოზ ჯეჯელავა, ვახტანგ ბალავაძე, ომარ ფხაკაძე, გურამ სალარაძე, ალექსანდრე ჯორჯაძე, გიორგი ბაბილოძე, დავით ყიფიანი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, კობა წაქაძე, ალექსანდრე მეტრეველი, ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია, დავით კვაჭაძე, გურამ კოსტავა, ნოდარ გვახარია, გივი ჩიქვანაია, ვახტანგ იაგორაშვილი.

## გამარჯვებულნი

**პროფკავშირთა** სპორტსაზოგადოების საკავშირო საბჭოს სპორტულმა კლუბმა შეაჯამა ამ საზოგადოების ქვეყნის სპორტულ კლუბებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და 1988 წლის მაჩვენებლების შედეგად გამოავლინა მაღალი კლასის სპორტსმენთა და რეზერვის მომზადების საქმეში საუკეთესო კოლექტივები. მეორე ჯგუფში შემავალი 10 მოკავშირე რესპუბლიკას შორის **პირველი ადგილი ხვდა საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების სპორტულ კლუბს. აღსანიშნავია, რომ საქართველომ თავისი მაჩვენებლებით პირველი ჯგუფის კოლექტივებსაც გაუსწრო.**

პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საკავშირო საბჭომ კი შეაჯამა ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტმასობრივი მუშაობის შედეგები. ქვეყნის 33 საუკეთესო სპორტულ კლუბებსა და ფიზკულტურის კოლექტივებს შორის გამარჯვებულთა შორის არიან სპორტული კლუბები „ივერია“ და „შევარდენი“. თითოეულს გადაეცემა სამახსოვრო ვიმპელი და სამი ათასი მანეთის სპორტული ინვენტარის კომპლექტი.

ცალკე გამოვლინდა აგრომრეწვის, აგრეთვე სამრეწველო ორგანიზაციებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების საუკეთესო კოლექტივები. აქ გამარჯვებულთა შორისაა ჩვენი 15 კოლექტივი **(საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულის საბჭოთა მეურნეობა, სოხუმის რაიონის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობა, ქობულეთის რაიონის ოჩხამურის ჩაის კომბინატი, მახარაძის რაიონის აგროფირმა „ნატანები“, წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობა, ოჩამჩირის რაიონის ლაკობას სახელობის კოლმეურნეობა, სამტრედიის რაიონის ბამბის ქსოვილების ფაბრიკა, გაგრის დასასვენებელი სახლი „პრავდა“, თბილისის წინდების ფაბრიკა, ბათუმის სატრანსფორმატორო ქარხანა, თბილისის ტრიკოტაჟის გაერთიანება გლდანი, სოხუმის ორჯონიკიძის სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა, ტრესტ „კოლხიდმშენის“ გაერთიანებული ფიზკულტურის კოლექტივი, ზესტაფონის ფეროქარხანა, თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმი).**

## ორი ლიდერი

**გორის** საჭადრაკო კლუბ „მთიებში“ გრძელდება საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 49-ე ჩემპიონატი. მამაკაცებს ტოლს არ უდებს საერთაშორისო დიდოსტატი ქეთევან არახამია, რომელმაც პირველ ტურში აღებულ ნახევარ ქულას მომდევნო ორ ტურში 2 ქულა მიუმატა და გია ბაღათუროვთან ერთად ლიდერობს შეჯიბრებას. დაწინაურებულ დუეტს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან აკაკი იაშვილი და დავით ლობჟანიძე.

გთავაზობთ II და III ტურების ტექნიკურ შედეგებს — **II ტური:** ლობჟანიძე-ვალიევი 0,5:0,5, მანაგაძე-არახამია 0:1, სიჭინავა-იაშვილი 0,5:0,5, ბაღათუროვი-ტაბატაძე 1:0, ეფიმოვი-სუპატაშვილი 0,5:0,5. ხეცურიან-ქასოშვილის პარტია გადაიდო; **III ტური:** სუპატაშვილი-ლობჟანიძე 0:1, ქასოშვილი-ბაღათუროვი 0:1, იაშვილი-ხეცურიანი 0,5-0,5, არახამია-სიჭინავა 1:0, ვალიევი-მანაგაძე 0:1. გადაიდო ტაბატაძე-ეფიმოვის შეხვედრა.

ჭადრაკის მოყვარულნი გვთხოვენ გავაცნოთ შეჯიბრების რეგლამენტი. ტურები იმართება ყოველდღე 25, 30 აპრილისა და 2 მაისის გარდა. ამ დღეებში გადადებული პარტიების დამთავრება მოეწყობა. შეჯიბრება 4 მაისამდე გასტანს.





## ამიერიდან საერთაშორისო...

**მსოფლიოს** პირველი კოსმონავტი-მფრინავის იური გაგარინის ტრადიციულ ტურნირში, რომელმაც ახლა უკვე ჭაბუკ მოკრივეთა საერთაშორისო ასპარეზობის სტატუსი მიიღო, შესანიშნავად გამოვიდნენ ქართველი სპორტსმენები. სარატოვში გამართულ ამ ასპარეზობის 214 მონაწილეს შორის ამჯერად ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის წარმომადგენლებიც იბრძოდნენ.

პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლის სამმა აღსაზრდელმა: ტყიბულელმა სპარტაკ პირველაშვილმა (70 კგ), თბილისელმა ალეკო მღებრიშვილმა (74) და ჭიათურელმა მამუკა ლავთაძემ (79) ამ ტურნირში მოიპოვეს უძლიერესის სახელები.

მემორიალის ვერცხლის მედლები დაიმსახურეს: ხობელმა მოკრივეებმა გოჩა რუსიამ (50), კახაბერ კაჭარავამ (54, ორივე „შრომითი რეზერვები“), თბილისელმა სულხან ხაპულაძემ (79) და ხონელმა მიხეილ აჯიაშვილმა (91, ორივე პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლა).

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: იური გაგარინის საერთაშორისო მემორიალური ტურნირის გამარჯვებულნი, მარცხნიდან — ს. პირველაშვილი, ა. მღებრიშვილი, მ. ლავთაძე.**

## ქვეყნის მეცნიერები ობიექტურ გამოძიებას მოითხოვენ

**გუშინდელმა** „კომუნისტმა“ მკითხველს მოუთხრო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კონფერენციაზე, რომელიც სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნებს მიეძღვნა.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატმა აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ კონფერენციის მონაწილეებს მიმართა განცხადებით, რომლითაც სამეცნიერო საზოგადოებრიობას გააცნო თბილისში 9 აპრილს მომხდარი ტრაგიკული ამბები და მოუწოდა საკავშირო აკადემიას გამოხმაურებოდა მათ, მხარი დაეჭირა მოთხოვნისათვის საქმის ყველა გარემოების ზედმიწევნითი და ობიექტური გამოძიების შესახებ.

დეპუტატთა არჩევისა და განაწესების განხილვის შემდეგ, კონფერენციამ თავის მხრივ მიიღო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მიმართვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი — „გარდაქმნა საფრთხეშია“. მიმართვაში, კერძოდ, ნათქვამია:

„სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნებისადმი მიძღვნილი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კონფერენცია მიმართავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს საკითხზე, რომელიც ეხება ჩვენი სახელმწიფოს ახალი კურსის — გარდაქმნად, განახლებად, დემოკრატიზაციად, საჯაროობად წოდებული კურსის — საფუძველს, რომლის განხორციელებაზეც საბოლოო ანგარიშით დამოკიდებულია ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნისა და, შესაძლოა, მთელი ჩვენი პლანეტის შემდგომი არსებობის ფორმა და ხასიათი.

მიმდინარე წლის 9 აპრილს დილის 4 საათზე ქალაქ თბილისში უსანქციო მიტინგისა და მშვიდობიანი დემონსტრაციის გარეკვის საბაბით მოხდა უდანაშაულო ადამიანთა ყოვლად გაუმართლებელი, უპრეცედენტო მასობრივი რბევა-დაწიოკება, რასაც მსხვერპლი მოჰყვა. დახოცილთა უდიდეს უმრავლესობას შეადგენენ ქალები, რომელთა შორის არიან არასრულწლოვანნი და ხანდაზმულნი.

ჯარის ქვედანაყოფებმა ხელკეტებთან ერთად გამოიყენეს მესანგრის ბარები და ქიმიური მომწამვლელი ნივთიერებანი, რაც ოფიციალურად გამოაცხადა საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს სპეციალურმა კომისიამ, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ მოსკოველი და ლენინგრადელი ექსპერტები.

დადგენილია, რომ დაიღუპა 20 კაცი, რეგისტრირებულია 250-ზე მეტი დაშავებული, რომელთა შორის ზოგი მძიმე მდგომარეობაშია მიყენებული ჭრილობების, დასახიჩრებისა და მომწამვლელ ნივთიერებათა ზემოქმედების შედეგად.

ამ არნახული სისასტიკის აქციამ მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის უდიდესი აღშფოთება და გულისწყრომა გამოიწვია. იგი ძირეულად ეწინააღმდეგება გარდაქმნის, დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პრინციპებს, ყოვლად შეუთავსებელია ცივილიზებულ სახელმწიფოში მიღებულ მორალურ და სამართლებრივ ნორმებთან, და მიჩნეულ უნდა იქნეს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად.

აღმაშფოთებელია ის ფაქტიც, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ხშირად ტენდენციურად აშუქებენ და აყალბებენ მოვლენებს, ამტკიცებენ, თითქოს ადამიანები, კაცმა არ იცის როგორ, „წარმოქმნილი ჭყლეტის“ შედეგად დაიღუპნენ.

ჩვენი საზოგადოებრიობა მოითხოვს ობიექტურად განვიხილოთ და შევაფასოთ თბილისში მომხდარი ტრაგიკული ამბები, მთავრობის სახლის წინ მოედანზე გამართული ხოცვა-ჟლეტა.

ამ დანაშაულებრივი აქციის გამოსაძიებლად რესპუბლიკაში შექმნილია უმაღლესი საბჭოს სპეციალური კომისია, რომელშიც შედიან საქართველოს საზოგადოებრიობის კომპეტენტური წარმომადგენლები. ამ კომისიაში შესვლას დათანხმდნენ აგრეთვე აკადემიკოსები, ამჟამად უკვე სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები, ანდრია დიმიტრის ძე სახაროვი, დიმიტრი სერგის ძე ლიხაჩოვი და როალდ ზინურის ძე საგდეევი. აღნიშნულ კომისიაში ჩვენი ქვეყნის ამ გამოჩენილ მოღვაწეთა მონაწილეობა მის მუშაობას შემატებს დიდ საზოგადოებრივ ჟღერადობას და სრული ობიექტურობის გარანტიას მიანიჭებს ადამიანების წინააღმდეგ ჩადენილი ამ შემზარავი დანაშაულის გამოძიებისას.

თბილისში მომხდარი ტრაგიკული ამბები ადასტურებს იმ სავალალო ფაქტს, რომ გარდაქმნა საფრთხეშია. გარდაქმნის მოწინააღმდეგე ძალები გაცილებით უფრო ძლიერნი და აქტიურნი გამოდგნენ, ვიდრე ჩვენ გვეგონა. მათი მთავარი იარაღია ალალმართალი ინფორმაციის მიჩქმალვა და გაუკუღმართება.

ჩვენ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლები, ვგლოვობთ თბილისში მომხდარს, დაღუპულთა ახლობელ ნათესავებთან და მთელ ქართველ ერთან ერთად ვჭირისუფლობთ მათ — ეს ხომ ჩვენი საერთო უბედურებაა.

ჩვენ მოვუწოდებთ ქართველ ინტელიგენციას, მთელ ქართველ ერს, ყველა საბჭოთა ადამიანს გამოიჩინონ პატიოსანი და პასუხისმგებლური მოქმედება, რათა არავის დაალუპვინონ გარდაქმნა. ჩვენ მოგიწოდებთ დაუფარავად, საჯაროდ და პასუხისმგებლობით გამოიძიოთ თბილისში გამართული ხოცვა-ჟლეტა, 1989 წლის 9 აპრილის ეს „სისხლიანი კვირა“, გამოიყვანოთ სააშკარაოზე ამ დანაშაულის ჩამდენნი და მისცეთ ისინი სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები, რომლებმაც ხალხისაგან ნდობის მანდატი მიიღეს, მოვალენი არიან გაამართლონ ეს მანდატი მომხდარი ამბის პირუთვნელი შეფასებით, ისეთ გადაწყვეტილებათა მიღებით, რომელთა მეოხებით მსგავსი არაფერი განმეორდება ჩვენი ქვეყნის არც ერთ კუთხეში“.

გაზეთი „კომუნისტი“, 23 აპრილი.

ტრაგედიის ექო

## „მინდა ვირწმუნო სიმართლისა“

**რამდენჯერმე** დავაპირე გამომეთქვა ჩემი აზრი 9 აპრილის ამბებთან დაკავშირებით. მასწავლებლები იშვიათად „გამოდიან პრესის ფურცლებზე, ახლა კი მეც იმათ რიცხვში ვარ, ვისაც გაჩუმება არ შეუძლია.

9 აპრილის ტრაგედია არაფრით განსხვავდებოდა 9 მარტის ტრაგედიისაგან. მაშინ, 9 მარტს, სტუდენტთა შორის მეც ვიყავი. არც ცოცხლად გადარჩენილებს დაგვადგა კარგი დღე. 1956 წელს მე კომკავშირიდანაც გამრიცხეს და ინსტიტუტიდანაც. ახლა ასეთი ანგარიშსწორების დრო წავიდა.

9 აპრილის წინა დღეებში პედაგოგებს შინ რა გაგვაჩერებდა, როცა ჩვენი აღსაზრდელები ქუჩაში იყვნენ. იმ საშინელ ღამეს ყველაფერი საკუთარი თვალით ვნახეთ და განვიცადეთ, ძალიან დაგვწყვიტა გული მეორე დღეს დარხეულმა ხმებმა, თითქოს ქართველები სხვა ერების გასახლებას მოითხოვდნენ. ახლა მეც სხვებსავით მეამაყება, რომ იმ დაძაბულ დღეებში არ გამოვლენილა ერთა შორის შუღლის არც ერთი შემთხვევა.

ამ წერილს კიდევ ერთი მიზეზის გამო ვწერ: ულრმესი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს მილიციელებს, რომლებმაც პირნათლად მოიხადეს მოქალაქეობრივი ვალი, წინ აღუდგნენ გაავებულ ჯარისკაცებს და ამით ბევრი თანაქალაქელი იხსნეს სიკვდილისა და დასახიჩრებისაგან, თავად კი იგემეს გამოქომაგების სამაგიერო. მილიცია თავის პირდაპირ მოვალეობას ასრულებდა — ადამიანების სიცოცხლეს იცავდა ხელყოფისაგან. ახლა ჩემსავით ბევრს შეუძლია თამამად თქვას „ჩემი მილიცია მე მიცავს“.

დასასრულ მინდა ჩემს აღზრდილებს და აღსაზრდელებს ვუთხრა: მოვლენები ახლა ისე წარიმართა, რომ მეც თქვენთან ერთად მინდა ვირწმუნო, სიმართლე არ დაიკარგება, დინჯად, გონივრად ვიღვაწოთ ერის საკეთილდღეოდ.

**ეთერ ხახუბია,**
**თბილისის 150-ე საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი, სახალხო განათლების წარჩინებული, სპორტის ოსტატი.**

# ახალი საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია

**რაგბი**

**სათადარიგო მოთხოვნები**

**სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი** — მონაწილეობდეს: სსრ კავშირის ნაკრებ გუნდში, რომელმაც დაიკავა I-VI ადგილები მსოფლიო პირველობაზე (თასი);

ევროპის პირველობაზე I-II ადგილზე გასულ სსრ კავშირის ნაკრების გუნდის შემადგენლობაში; ევროპის პირველობაზე ორი წლის განმავლობაში ზედიზედ III ადგილზე გასულ სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში;

**სსრ კავშირის სპორტის ოსტატი** — მონაწილეობდეს: საერთაშორისო შეჯიბრებებში სსრ კავშირის ნაკრები გუნდის (მოზრდილთა) შემადგენლობაში;

ევროპის იუნიორთა პირველობაზე I-II ადგილებზე გასულ სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში;

ევროპის იუნიორთა პირველობაზე ორჯერ ზედიზედ III ადგილზე გასულ სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში;

სსრ კავშირის ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის მიერ შერჩეულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე I-III ადგილზე გასულ მოკავშირე რესპუბლიკის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში.

სსრ კავშირის უმაღლესი ლიგის ჩემპიონატში I-III ადგილებზე გასული გუნდის შემადგენლობაში.

3 წლის განმავლობაში ორჯერ ზედიზედ IV-VI ადგილებზე გასული გუნდის შემადგენლობაში;

სსრ კავშირის თასის ფინალისტი გუნდის შემადგენლობაში;

შევიდეს სსრ კავშირის 45 უძლიერესი მოთამაშის შემადგენლობაში;

**სპორტის ოსტატობის კანდიდატი** — მონაწილეობდეს:

ევროპის იუნიორთა პირველობაზე III-IV ადგილებზე გასული სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში.

სოციალისტური ქვეყნების ტურნირ „მეგობრობაში" I ადგილზე გასული გუნდის შემადგენლობაში;

სსრ კავშირის უმაღლესი ლიგის ჩემპიონატში IV-V ადგილების მფლობელი გუნდის შემადგენლობაში;

სსრ კავშირის უმაღლესი ლიგის ჩემპიონატში 3 წლის განმავლობაში VI-VII ადგილებზე გასული გუნდის შემადგენლობაში;

პირველი ლიგის საკავშირო პირველობაზე I-II ადგილებზე გასული გუნდის შემადგენლობაში;

მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის, თასის (სულ ცოტა 10 გუნდის მონაწილეობით) ფინალისტი გუნდის შემადგენლობაში;

მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის, ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა ცენტრალური საბჭოების — სულ მცირე 8 გუნდის, მათ შორის საკავშირო ჩემპიონატის 3 გუნდის მონაწილეობით I-II ადგილებზე გასული გუნდის შემადგენლობაში.

19-23 წლის ასაკის სპორტსმენთა საკავშირო შეჯიბრებებში I-II ადგილებზე გასული გუნდის შემადგენლობაში.

უფროსი ასაკის მოზარდთა სსრ კავშირის პირველობაზე I ადგილზე გასული გუნდის შემადგენლობაში.

შევიდეს მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის 45 უძლიერეს მოთამაშეთა შემადგენლობაში.

**I თანრიგი** — მონაწილეობდეს:

I ლიგის საკავშირო პირველობაში;

მოკავშირე რესპუბლიკების მოსკოვის, ლენინგრადის, ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ცენტრალური საბჭოების შეჯიბრებებში — სულ მცირე 8 გუნდის, მონაწილეობით, (მათ შორის 3 გუნდი — სსრ კავშირის პირველობის მონაწილე) III-V ადგილებზე გასული გუნდის შემადგენლობაში.

ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებებსა და უწყებების ცენტრალური საბჭოების პირველობებში არა უმცირეს 8 გუნდის მონაწილეობით I-II ადგილებზე გასული გუნდის შემადგენლობაში.

19-23 წლის ასაკის სპორტსმენთა საკავშირო შეჯიბრებებში III-VI ადგილებზე გასული გუნდის შემადგენლობაში;

უფროსი ასაკის მოზარდთა საკავშირო პირველობაში II-IV ადგილებზე გასული გუნდის შემადგენლობაში;

უფროსი ასაკის მოზარდთა მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის პირველობებში სულ მცირე 8 გუნდის მონაწილეობით I ადგილზე გასული გუნდის შემადგენლობაში;

წლის განმავლობაში პირველთანრიგოსანთა 4 და მეორეთანრიგოსანთა გუნდებთან 6 გამარჯვების მქონე გუნდების შემადგენლობაში;

შევიდეს ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ცენტრალური საბჭოების 45 უძლიერეს მოთამაშეთა შორის.

**II თანრიგი** — მონაწილეობდეს:

უფროსი ასაკის მოზარდთა საკავშირო პირველობაზე V-X ადგილებზე გასული გუნდების შემადგენლობაში;

წლის განმავლობაში ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრების არა უმცირეს 10 შეხვედრაში და მოიპოვოს 4 გამარჯვება მეორეთანრიგოსანთა გუნდებთან ან 7 მესამეთანრიგოსან გუნდთან.

**III თანრიგი:**

წლის განმავლობაში ნებისმიერი ქვალიფიკაციის გუნდთან გამართულ 8 შეხვედრაში 4 გამარჯვების მქონე გუნდის შემადგენლობაში;

**მოზარდთა I თანრიგი** — მონაწილეობდეს:

მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის უფროსი ასაკის მოზარდთა შორის (8 გუნდის მონაწილეობით) პირველობებში II-III ადგილებზე გასული გუნდების შემადგენლობაში;

საშუალო ასაკის მოზარდთა საკავშირო შეჯიბრებებში (8 გუნდის მონაწილეობით) I-III ადგილებზე გასული გუნდის შემადგენლობაში;

უმცროსი ასაკის მოზარდთა საკავშირო შეჯიბრებაში, (10 გუნდის მონაწილეობით) I ადგილზე გასული გუნდის შემადგენლობაში;

წლის განმავლობაში მოზარდ პირველთანრიგოსანთა გუნდებთან 4, ხოლო მოზარდ მცირეთანრიგოსან მეტოქეებთან გუნდის 8 გამარჯვებაში.

**მოზარდთა II თანრიგი** — მონაწილეობდეს:

უფროსი ასაკის მოზარდთა მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის პირველობებში IV-VI ადგილებზე გასული გუნდის შემადგენლობაში.

საშუალო ასაკის მოზარდთა მოკავშირე რესპუბლიკების (არა უმცირეს 10 გუნდის მონაწილეობით) IV-VI ადგილებზე გასული გუნდის შემადგენლობაში; წლის განმავლობაში სხვადასხვა ასაკობრივ მოზარდ გუნდებთან 15 გამარჯვებაში.

**მოზარდთა III თანრიგი**

წლის განმავლობაში ნებისმიერი მასშტაბის სულ ცოტა 10 შეხვედრაში მონაწილე გუნდის შემადგენლობაში.

(გაგრძელება იქნება)

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო" №№ 75, 76, 77, 78, 79.**

## აფხაზეთის სპორტსმენები საკავშირო სარბიელზე

# ჭაბუკთა ნაკრების სახელით

მოსკოვში დამთავრდა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა საკავშირო ტურნირი უფროსი ასაკის ჭაბუკებს შორის, რომელიც მიეძღვნა ა. პრეობრაჟენსკის ხსოვნას. მასში მონაწილეობდა 300-ზე მეტი ფალავანი მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების ნაკრები გუნდებიდან. შეჯიბრების მთავარი მიზანი იყო ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრების დაკომპლექტება.

ასპარეზობაში ჩვენი რესპუბლიკიდან მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის წარგზავნილებმაც. 70 კგ წონით კატეგორიაში თავი ისახელა სოფელ ვარჩეს საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლემ ლუკა კოხიამ, რომელმაც ყველა მეტოქე დაამარცხა, უნდა აღინიშნოს, რომ ფინალში მან მოუგო თანაგუნდელს, სოხუმის მე-2 საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეს ირაკლი ჩაკვეტაძეს. ეს უკანასკნელი მეორე ადგილზე გავიდა.

სოხუმელთაგან თავი ისახელა აგრეთვე მე-13 საშუალო სკოლის მოსწავლემ ზაზა გოგუამ, რომელმაც 76 კგ წონით კატეგორიაში დაამარცხა შვიდი მეტოქე და პირველ ადგილს დაეუფლა. მასვე მიეკუთვნა ყველაზე ტექნიკური მოჭიდავისათვის განკუთვნილი პრიზი. სამივე შეყვანილია სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრებში, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო ტურნირში.

საკავშირო შეჯიბრებისათვის სპორტსმენები მოამზადეს საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელებმა გომელი ხარებავამ და ამირან მაისურაძემ.

# და უფროსებშიც...

ტალინში, ესტონეთის ვეტერან მოჭიდავეთა პრიზზე ჩატარდა საკავშირო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. წარმატებით იასპარეზეს აფხაზეთის წარმომადგენლებმა. აფხაზეთის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა შოთა კიკაბიძემ გვიამბო: ტურნირში საასპარეზოდ წავიყვანეთ რამდენიმე მოჭიდავე, რომლებმაც მომავალი წლის მოზრდილთა სპარტაკიადაზე უნდა მიიღონ მონაწილეობა. მათ შორის კარგად გამოვიდა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი მალხაზ თოლორდავა. პერსპექტიულმა ათლეტმა 90 კგ წონით კატეგორიაში დამაჯერებლად მოიპოვა პირველი ადგილი. მეორე სოხუმელმა ოსტატმა, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტმა არსენ მაისურაძემ 100 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობისას მხოლოდ ფინალში, მცირე უპირატესობით დათმო გამარჯვება ცნობილ ესტონელ ოსტატ ა. ჰაიდესთან და მეორე ადგილს დასჯერდა.

**კორნელი კაკაჩია,**
**„ლელოს" კორ.**

სოხუმი.

# შაში ქალებსაც მოსწონთ

**ზუგდიდში** გაიმართა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ქალთა პირველი რაიონული სპარტაკიადა.

64-უჯრედიან შაშში გაიმარჯვა ავტოსატრანსპორტო საწარმოს გაერთიანების ფიზკულტურული კოლექტივის ნაკრებმა (ფიზკულტურის ინსტრუქტორი თ. ნარსია). II ადგილი წილად ხვდა ოდიშის კოლმეურნეობის გუნდს, III — ზედაეწერის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივს.

პირად პირველობაში გაიმარჯვა დ. ბუკიამ (ავტოსატრანსპორტო საწარმოს გაერთიანება), მეორე ადგილზე გავიდა ნ. მოსია, მესამეზე — ი. ჩარკვიანი (ორივე — ჭითაწყაროს კოლმეურნეობიდან).

გამარჯვებული გუნდი მონაწილეობას მიიღებს საქართველოს პირველობაში.

**„ლელოს" კორ.**



# ჩემპიონატი განახლდება

**29 აპრილს** განახლდება კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატი, რომელიც ორი კვირით შეწყვეტილი იყო. ამ დღეს თბილისში, კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის ხასახლეში სამი მატჩი გაიმართება: „დინამო" (თბილისი) — სპი (თბილისი) — დასაწყისი 12 საათზე, სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) — „შევარდენი" (თბილისი) — 13.30; „მართვე" (თბილისი) — ჭიათურა — 15.00. 30 აპრილს „მართვე" და ჭიათურა მეორე შეხვედრას ჩაატარებენ (11.00).

29-30 აპრილს რუსთავში ერთმანეთს შეხვდებიან ადგილობრივი კალათბურთელები და ქუთაისის გუნდი.

გთავაზობთ მაისის მატჩების კალენდარსაც.

**6-7.** ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — სპი (თბილისი), უნივერსიტეტი (თბილისი) — რუსთავი, „შევარდენი" (თბილისი) — ქუთაისი, „სინათლე" (თბილისი) — „მართვე" (თბილისი), ჭიათურა — „დინამო" (თბილისი), სოხუმი — სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი).

**10-11.** ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „დინამო" (თბილისი).

**13-14.** „სინათლე" — პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ბათუმი — ფიზკულტურის ინსტიტუტი, უნივერსიტეტი — სოხუმი, „დინამო" — „მართვე".

**20-21.** რუსთავი — სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი, „მართვე" — პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ქუთაისი — უნივერსიტეტი, ჭიათურა — ფიზკულტურის ინსტიტუტი, „სინათლე" — ბათუმი.

**27-28.** ფიზკულტურის ინსტიტუტი — „მართვე", „სინათლე" — ჭიათურა, „ბათუმი" — „დინამო", სოხუმი — „შევარდენი".

ახლა კი გთავაზობთ 8 აპრილს გამართული მატჩების შედეგებს: სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) — „შევარდენი" (თბილისი) 63:91 (37:40), „დინამო" (თბილისი) — სპი (თბილისი) 57:90 (29:47), ჭიათურა — ბათუმი 69:68 (61:61, 27:30) და 76:48 (40:25).

## მოკლედ

**აბაშაში** ჩატარდა მუშათა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რაიონული საბჭოს პირველობა მაგიდის ჩოგბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ რაიონის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და წარმოება-დაწესებულებების გუნდები.

შეჯიბრებაში კარგად იასპარეზეს და პირველი ადგილი დაიკავეს აბაშის საქსოვი ფაბრიკის მაგიდის ჩოგბურთელებმა.

**„ლელოს" კორ.**



## სიახლეთა ესტაფეტა

**ბრატისლავის** სტადიონის „სლოვანის" სათამაშო მოედანი მარტ-აპრილსა და ოქტომბერ-ნოემბერში დაცულია წვიმისა და თოვლისაგან თხელი 0,2 მმ სისქის, მაგრამ მტკიცე აფსკით, მისი გადასახვევი მოწყობილობა იქვე, ახლოს დგას მოედანზე.

დამცავი შალითა არა მარტო გადარეცხვისაგან იცავს ბალახის საფარს, არამედ ახანგრძლივებს მის „სიმწვანესა" და სპორტულ სეზონსაც...

# ტრადიციული, 22-ე საქალაქო...

ხელბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ტყვიის სროლა, ჭადრაკი და მძლეოსნობა — ასეთი იყო ქალთა ტრადიციული 22-ე საქალაქო სპარტაკიადის პროგრამა. შეჯიბრებაში, რომელიც ამას წინათ ქუთაისში გაიმართა, 9 გუნდი და 427 სპორტსმენი მონაწილეობდა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში 1358 ქულით დამაჯერებლად გაიმარჯვეს განათლების განყოფილების სპორტსმენმა გოგონებმა. მათ ყველა, შვიდივე სახეობაში იასპარეზეს, აქედან სამში (ხელბურთში, ფრენბურთსა და მძლეოსნობაში) პირველი, დანარჩენებში კი მეორე ადგილები დაიკავეს და მიუწვდომელი გახდნენ მეტოქეებისთვის.

მეორე ადგილზე (928 ქულით) ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი გოგონები გავიდნენ (მათ ჭადრაკში პირველი ადგილი დაიკავეს), მესამეზე — სპორტსაზოგადოება „დინამოს" წარმომადგენლები. მართალია, დინამოელებმა მხოლოდ ორ სახეობაში — ტყვიის სროლასა და მძლეოსნობაში იასპარეზეს, მაგრამ 756 ქულა მოაგროვეს, რაც საკმარისი აღმოჩნდა საპრიზო ადგილის მოსაპოვებლად.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტ გოგონებს მხოლოდ ჭადრაკში არ გამოუყვანიათ გუნდი, მაგრამ საერთო გუნდურ ჩათვლაში მხოლოდ მე-4 ადგილზე გავიდნენ.

წლეულს ქალთა სპარტაკიადაში პირველად იასპარეზა ქალაქის ტექნიკუმების ნაკრებმა გუნდმა, რომელმაც V ადგილი დაიკავა. ამ გუნდში სამედიცინო სასწავლებლისა და კოოპერაციული ტექნიკუმის მოსწავლეები გამოდიოდნენ.

სპარტაკიადაში, ასევე პირველად, გამოვიდნენ ელექტრომექანიკური ქარხნის ახალშექმნილი სპორტული კლუბის „პოტენციალის" წარმომადგენლები. მათ (სპორტკლუბ „ლოკომოტივის" შემდეგ) VII ადგილი დაიკავეს.

თავიანთ შესაძლებლობებზე გაცილებით სუსტად იასპარეზეს და ბოლო VIII-IX ადგილები შესაბამისად დაიკავეს სპორტკლუბ „კოლხიდას" და სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" გუნდებმა. არადა, ორივე კოლექტივს, განსაკუთრებით „შრომით რეზერვებს", სპორტსმენთა კონტიგენტიც საკმაო ჰყავთ და გაცილებით მაღალი შედეგების მოპოვებაც შეუძლიათ. როგორც ჩანს, **„შრომითი რეზერვების" ხელმძღვანელებს აკლიათ ორგანიზებულობა**, ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ საზოგადოება, ძირითადად, ახალგაზრდა თაობის ფიზიკურ აღზრდას და სპორტს ემსახურება.

ამ შენიშვნას, ალბათ, გაითვალისწინებს „შრომითი რეზერვების" ყველა წარმომადგენელი და მომავალ შეჯიბრებებს უკეთ მომზადებული შეხვდებიან.

**თამაზ კოლხიდელი,**
**„ლელოს" საკ. კორ.**
**ქუთაისი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საფეხბურთო კავშირის თასზე

**23 აპრილს** დაიწყო სსრკ საფეხბურთო კავშირის თასის გათამაშების მეორე წრე. თბილისის დინამოელები ამ დღეს დუშანბეში შეხვდნენ ადგილობრივ „პამირს". თამაში დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

IV ტურის სხვა შეხვედრები დამთავრდა ასეთი შედეგებით: „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „ზენიტი" (ლენინგრადი) 1:0, „როტორი" (ვოლგოგრადი) — „არარატი" (ერევანი) 5:0, „ტორპედო" (მოსკოვი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) 3:0, „შახტიორი" (დონეცკი) — „მეტალისტი" (ხარკოვი) 6:0, „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „დინამო" (მინსკი) 1:3.

7 მაისს თასის V ტურის მატჩში თბილისის დინამოელები მიიღებენ ვილნიუსის „ჟალგირისს".

## საქართველოს პირველობა

**გაიმართა** რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები: პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 1:1, „მზიური" (გალი) — „მალაროელი" (ჭიათურა) 1:1, „სულორი" (ვანი) — „დინამო" (ზუგდიდი) 3:1, „ბახტრიონი" (ახმეტა) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 1:2, „სიონი" (ბოლნისი) — „ივერია" (ხაშური) 2:1, „არმაზი" (მცხეთა) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 0:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 1:0, „დურუჯი" (ყვარელი) — „დინამო" (გაგრა) 3:1, „არაგვი" (დუშეთი) — „შადრევანი" (წყალტუბო) 1:2, „სქური" (წალენჯიხა) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 1:1.

## II ლიგა

**გაიმართა** II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო პირველობის IV ტურის შეხვედრები: „ტექსტილშჩიკი" (კამიშინი) — „ბაკინეცი" (ბაქო) 5:0, „ზვეზდა" (გოროდიშჩე) — „დინამო" (მახაჩყალა) 2:2, „ტორპედო" (ვოლჟსკი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 1:1, გორის „დილამ" გასვლით მატჩში სძლია ვოლგოდონსკის „ატომმაშს" — 2:0.

**გათამაშების ცხრილი, IV ტურის შემდეგ:**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალ." | 4 | 3 | 1 | 0 | 7-2 | 7 |
| „ტექსტილ." | 3 | 2 | 1 | 0 | 9-1 | 5 |
| „ლოკომ." ს. | 4 | 2 | 1 | 1 | 8-3 | 5 |
| „ხაზარი" ს. | 4 | 2 | 1 | 1 | 6-4 | 5 |
| „დინამო" ს. | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 4 |
| „ქიაფაზი" | 4 | 2 | 0 | 2 | 6-5 | 4 |
| „კოლხეთი" ფ. | 3 | 2 | 0 | 1 | 3-2 | 4 |
| „დილა" | 3 | 2 | 0 | 1 | 4-4 | 4 |
| „ლოკ." (მ. წყ.) | 3 | 1 | 2 | 0 | 6-4 | 4 |
| „ტორპედო" | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 3 |
| „ნარტი" | 3 | 1 | 1 | 1 | 2-1 | 3 |
| „გოიაზანი" | 3 | 1 | 1 | 1 | 5-5 | 3 |
| „კოლხეთი" ხ. | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 3 |
| ომც (თბ.) | 4 | 1 | 1 | 2 | 6-9 | 3 |
| „ატომმაში" | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 2 |
| „ყარაბაღი" | 2 | 1 | 0 | 1 | 2-4 | 2 |
| „ხაზარი" ლ. | 4 | 1 | 0 | 3 | 3-7 | 2 |
| „დინ." (მახ.) | 3 | 0 | 2 | 1 | 3-6 | 2 |
| „ზვეზდა" | 3 | 0 | 2 | 1 | 3-6 | 2 |
| „ბაკინ." | 3 | 0 | 2 | 1 | 1-6 | 2 |
| „მერცხ." | 4 | 0 | 1 | 3 | 4-8 | 1 |
| „შევარდ." | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |

# იუნიორთა გამარჯვება

**სსრ კავშირის** იუნიორ ფეხბურთელთა ნაკრებმა კიშინიოვში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩში მიიღო კვიპროსელ თანატოლთა გუნდი.

საბჭოთა ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0. ორივე ბურთი შესვენების შემდეგ გაიტანა ლუკინმა.

თვალსაზრისი — სპორტული ტერმინოლოგია

# რეგბი, მორაგბე, სარაგბო...

**ბოლო** ხანს ჩვენმა საზოგადოებრიობამ გულისყური მიაპყრო ქართული სპორტული ტერმინოლოგიის დახვეწას და გამდიდრება-გამრავალფეროვნებას.

როგორც მოსალოდნელი იყო, ეროვნული სპორტული გაზეთი ამ საშვილიშვილო საქმის ერთ-ერთ თაოსნად მოგვევლინა.

საქმე ისე აეწყო, რომ უკვე სადღეისოდ მიღწეული შედეგები საყურადღებო და დამაიმედებელია. რად ღირს თუნდაც ის, რომ ამერიკულ „ბეისბოლს" დროულად მოვუნახეთ ქართული შესატყვისი — „კეტბურთი".

ვფიქრობ, ეს მისასალმებელი პროცესი კვლავაც უნდა გაგრძელდეს. ამასთან, უნდა გასწორდეს ის მცდარი ენობრივი ფორმებიც, ქართულში რამდენიმე ათეული წლის წინ უნებლიედ, ინფორმაციის სიმცირის გამო რომ დამკვიდრდა.

ჩვენში გავრცელებული ოვალური ბურთით თამაშის სახელის მართლწერაზე ვაპირებ სიტყვის ჩამოგდებას.

იქნებ ფართო საზოგადოებისათვის უცნობი იყოს ის, რომ ჩვენში „რეგბიდ" წოდებულ თამაშს დედანში — ინგლისურად — **„რაგბი"** ჰქვია. ამ ფორმითაა შესული ეს სიტყვა სხვა ევროპულ ენებში, რაც უთუოდ იმით აიხსნება, რომ ევროპული ენების დამწერლობები ლათინურ გრაფიკას იყენებენ და სხვა ენებიდან ნასესხები სიტყვები (პირველ ყოვლისა, საკუთარი სახელები — „რაგბი" კი ინგლისის ქალაქ რაგბიდან მომდინარეობს) უცვლელად გადმოაქვთ.

სხვა ვითარებაა ქართულში. ჩვენს ენაში ამ სიტყვამ, ისევე როგორც მრავალმა სხვა საკუთარმა სახელმა, რუსულის მეშვეობით შემოაღწია, და რაც ფრიად საწყენია, დამახინჯებული ფორმით.

ეს სამწუხარო ამბავი სამოციანი წლების დამდეგს მოხდა. მაშინ ენობრივი ვითარება სხვაგვარი იყო: ინგლისურ წყაროებზე ჩვენს წინამორბედებს — ქართული რაგბის „პირველ მერცხლებს" ხელი არ მიუწვდებოდათ, რუსულში დამკვიდრებული ფორმები კი ეტალონად აღიქმებოდა. დღევანდელისაგან განსხვავებით, ალბათ, არც საზოგადოებრივი აზრი იყო მიმართული ისე, სრული გაქართულებისათვის თუ არა, დედნიდან სწორად გადმოღებისათვის მაინც რომ ეზრუნათ.

ისე ნუ გამიგებთ, თითქოს რაგბის მესვეურთა ღვაწლს ვაკნინებდე, მათი პატრიოტიზმის ნაკლებობას ვუკიჟინებდე. არამც და არამც! საქართველოში „ოვალური ბურთის შემომტანთ" დამსახურებად ისიც ეყოფათ, ენაში „შერკინება", „არეკნი" და სხვა მრავალი რომ დაამკვიდრეს. მაგრამ, ვიმეორებ, მაშინ ვითარება იყო არცთუ ხელსაყრელი. ამიტომ დღეს მკრეხელობა იქნება, „მამების" თაობას ვუსაყვედუროთ, რატომ „რაგბის" დასაკანონებლად არ გაისარჯეთო.

მით უფრო საშური საქმეა ძველი, თითქოს უმნიშვნელო, შეცდომის გასწორება. **„რაგბი" უნდა ვწეროთ და გამოვთქვათ**, ვინაიდან შორს აღარაა დღე, როცა ქართული რაგბის გუნდები საერთაშორისო სარბიელზე გავლენ და, ვშიშობ, ყველასათვის სათაყვანებელი თამაშის სახელწოდების დამახინჯებამ სახელი არ გაგვიტეხოს.

ახლა რაგბის მოთამაშის აღმნიშვნელ სიტყვაზეც შევჩერდები. დღემდე ქართულში ხმარებული „რეგბისტი" ისეთივე გაურკვეველი წარმოშობისაა, როგორც „რეგბი". მართალია, ქართული ენა იფერებს „იზმებსა" და „ისტებს", მაგრამ ყველა ასეთი სიტყვა (იქნება ის „სოციალისტი", „ფუტურისტი" თუ „მილიტარისტი") ევროპულ ენებზეც ამგვარადვე ჟღერს ან იწერება. რაც შეეხება „რეგბისტს", არც ინგლისურსა და არც ფრანგულში ასეთი სიტყვა საერთოდ არ არსებობს. ეს კიდევ ერთხელ უნდა ცხადჰყოფდეს ქართულში „რეგბისტის" არსებობის უსაფუძვლობას. ანდა რა სჭირს ჩვენს ენას სხვისგან სასესხებელი? ნუთუ ახალი ცნებების საწარმოებელი თავსართ-ბოლოსართები გამოელია? საბედნიეროდ, არა. საკმარისია, ყველაზე ზოგადს — „მო-ე" აფიქსს მოვუხმოთ (გავიხსენოთ „მოთამაშე", „მოჭიდავე", „მოჭადრაკე", „მოფარიკავე", „მოთხილამურე", „ტანმოვარჯიშე"), რომ მივიღებთ მოხდენილ ფორმას — „მორაგბეს". რით არ სჯობს კურიოზულად წარმოთქმულ „რეგბისტს"?

სხვა ზოგადი აფიქსი, სახელდობრ „სა-ო", გვაძლევს კიდევ ერთ სიტყვას — „სარაგბოს". რაგინდ უცნაურადაც გვეჩვენოს, „რაგბთან დაკავშირებულის", „რაგბისთვის განკუთვნილის" აღსანიშნავად აქამდე ცალკე სიტყვა არ გვქონია. არადა, ხომ ძირისძირად ქართულია „საჭადრაკო", „საფეხბურთო", „საჭიდაო", „საილქნო" და მრავალი სხვა? რითაა უარესი „სარაგბო" (ვთქვათ „სარაგბო სკოლა" ან სარაგბო სტადიონი")?

დასასრულ, საქართველოში რაგბის მმართველი ორგანოს ე. წ. ფედერაციის დასახელებაზეც შევჩერდები. ახლახან ავირჩიეთ მისი ახალი, საქმიანი შემადგენლობა, ამასთან, განზრახული გვაქვს, „ფედერაცია" იურიდიულ პირად ვაქციოთ, შევუქმნათ საკუთარი ფულადი სახსრები და ოფიციალურად დავუმტკიცოთ ეროვნული ემბლემა. საკითხავია, ასეთ ორგანიზაციას, თანაც განსხვავებული სტატუსის მქონეს, სახელად რამდენად შეეფერება ფედერაციობა? იქნებ მსოფლიოსათვის მოგვევლო თვალი. მაშინ შევნიშნავდით, რომ თითოოროლა ქვეყნის გარდა, რაგბს ყველგან „კავშირები" („იუნიონ") მართავენ. ორ ტოლფასოვან სიტყვას — „ფედერაციასა" და „კავშირს" შორის კი, ჩემი აზრით, უპირატესობა უცილობლად ქართულს უნდა მიენიჭოს. ამიტომაც ვამჯობინებ **„საქართველოს რაგბის კავშირს"**.

ბოლოთქმის მაგიერ ყველა ქართულ გაზეთს, საქართველოს რადიოსა და ტელევიზიას, აგრეთვე რაგბთან დაკავშირებულ ყველა უწყებასა და ორგანიზაციას მინდა ვთხოვო და მოვუწოდო, რომ **ამიერიდან თქვან და წერონ „რაგბი", „მორაგბე", „სარაგბო", „საქართველოს რაგბის კავშირი"**. ამით ისინი, უეჭველია, მცირედ ღვაწლს დასდებენ ქართული ენის განწმენდას.

**დავით კილასონია,**
საქართველოს სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელი რაგბში.

# მიშელ პლატინის მოსაზრებანი

**გაზეთ** „იზვესტიის" საკუთარმა კორესპონდენტმა პარიზში ინახულა ცნობილი ფეხბურთელი, საფრანგეთის ეროვნული ნაკრების უფროსი მწვრთნელი მიშელ პლატინი და სთხოვა თავისი მოსაზრებანი გაეზიარებინა საბჭოთა მკითხველისთვის.

ვსარგებლობთ „იზვესტიის" პუბლიკაციით:

— საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ყველაფერი უნდა გააკეთოს საიმისოდ, რომ 1990 წელს მოიპოვოს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. მას საამისო შესაძლებლობანი აქვს, გუნდს სწორედ ახლა ჰყავს იმ კლასის ფეხბურთელები, რომლებსაც ამ ამოცანის შესრულება შეუძლიათ, — განაცხადა მიშელ პლატინიმ. — იტალიის მსოფლიო ჩემპიონატი ბრწყინვალე სანახაობა იქნება, რომელსაც თვალს მიადევნებენ პლანეტის მილიარდობით ფეხბურთის მოყვარულნი. უცხოეთის გუნდში მოთამაშე საბჭოთა ფეხბურთელებს ხიდიატულინს, ზავაროვსა და დასაევს ძნელი პრობლემები აქვთ გადასაწყვეტი, ეს განსაკუთრებით ზავაროვს ეხება, ვინაიდან იტალიურ ფეხბურთს თავისი სპეციფიკა ახლავს და იქ ფრანგ ფეხბურთელებსაც უჭირთ თამაში. გარდა ამისა, საბჭოთა ფეხბურთელები უცხოეთის პროფესიულ კლუბებში ევროპის ჩემპიონატის უმძიმესი მატჩების შემდეგ მივიდნენ, ადაპტაციას კი გარკვეული პერიოდი დასჭირდა. მოუთმენლად ველი გამოჩენილი მეკარე ლევ იაშინისადმი მიძღვნილ მატჩს მოსკოვში. თუმცა, პირადი მიწვევა ჯერ არ მიმიღია და აგვისტოშიც ძალზე დაძაბული გრაფიკი მაქვს. ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვმონაწილეობ ვეტერანთა მატჩებში და, რა თქმა უნდა, არ დავიზარებ ვითამაშო ისეთი გამოჩენილი ოსტატისადმი მიძღვნილ მატჩში, როგორიც ლევ იაშინია.

შეკითხვაზე, საჭიროებს თუ არა ფეხბურთი რეფორმებს და თამაშის წესების შეცვლას, მიშელ პლატინიმ განაცხადა:

— ფეხბურთის უდიდესი პოპულარობის ერთ-ერთი საფუძველია სწორედ ის, რომ მისი წესები მკაცრი და უცვლელია წელთა განმავლობაში. არა მგონია, რომ ამის გაკეთება საჭიროა ახლა, როცა ფეხბურთი მთელი მსოფლიოს ხალხთა საყვარელ თამაშად იქცა.

## საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

გაიმართა უცხოეთის საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები.

**ბრაზილია**

**რიო დე ჟანეიროს პირველობა.** „ბოტაფოგო" — „ვასკო და გამა" 0:0, „ვოლტა რედონდა" — „ფლამენგო" 0:2, „კაბოფრიენსე" — „ამერიკანო" 3:1, „ნოვა სიდად" — „ფლუმინენსე" 1:1, „ბანგუ" — „ოლარია" 0:0, „ამერიკა" — „პორტო ალეგრე" — გადაიდო.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ფლამენგო" | 5 | 8-3 | 8 |
| „ვასკო და გამა" | 5 | 5-1 | 8 |
| „ბოტაფოგო" | 5 | 6-2 | 7 |

**სან პაულუს პირველობა**

**პირველი ჯგუფი**

| | | | |
|---|---|---|---|
| „ნოვორიზონტინო" | 5 | 4-4 | 6 |
| „ინტერი" | 5 | 5-6 | 5 |

**მეორე ჯგუფი**

| | | | |
|---|---|---|---|
| „სან პაულუ" | 6 | 13-14 | 12 |
| „გუარანი" | 6 | 10-11 | 11 |

„ნოვორიზონტინო" — „იუვენტუსი" 1:1, „პორტუგეზა" — „ინტერი" 2:0, „სან ხოსე" — „მოჯი მირიმი" 2:0, „გუარანი" — „დეჟაუ" 3:0, „სანტო ანდრე" — „ნოროესტე" 2:1, „სან პაულუ" — „ამერიკა" 4:1, „კორინტიანსი" — „პირაკიკაბა" 4:1, „კატანდუვენსე" — „პალმეირასი" 0:2, „ბოტაფოგო" — „ბრიგანტინო" 1:1.

**არგენტინა**

**29-ე ტური.** „სან მარტინი" — „პლატენსე" 2:0, „ბოკა ხუნიორსი" — „ინდეპენდიენტე" 1:2, „სან ლორენცო" — „ესტუდიანტესი" 3:0, „რესინგი კორდობა" — „როსარიო სენტრალი" 2:0; „ფეროკარილ ოესტე" — „ტალერესი" 2:3, „გიმნასია ესგრიმა" — „დეპორტივო ესპანიოლი" 0:1, „რესინგი" — „ველეზ სარსფილდი" 1:1 (3:4), „დეპორტივო არმენიო" — „რივერ პლეიტი" 1:1 (4:2).



| | | | |
|---|---|---|---|
| „ინდეპენდიენტე" | 29 | 48-29 | 58 |
| „ბოკა ხუნიორსი" | 29 | 40-28 | 58 |
| „რივერ პლეიტი" | 29 | 50-29 | 51 |

**რუმინეთი**

**22-ე ტური.** „ორადეა" — „სიბიუ" 1:1, „ვიქტორია" — „არჯესი" 4:1, „ბაკაუ" — „რაპიდი" 1:2, „კონსტანცა" — „კლუჟი" 3:1, „ოცელული" — „სპორტული" 0:1, „ფლაკარა" — „ჰუნედოარა" 3:1, „ტირგუ მურეში" — „დინამო" 2:7, „ბრაშოვი" — „ოლტი" 4:1, „სტიაუა" — „უნივერსიტატია" 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სტიაუა" | 22 | 78-19 | 43 |
| „დინამო" | 22 | 91-20 | 41 |
| „ვიქტორია" | 22 | 56-32 | 33 |

**ბულგარეთი**

**22-ე ტური.** „ლოკომოტივი" (სოფია) — „ბლაგოევგრადი" 2:0, „სლივენი" — „თრაკია" 2:0, „სტარა ზაგორა" — „ორიახოვიცა" 3:2, „ლოკომოტივი" (პლოვდივი) — „სპარტაკი" (ვარნა) 1:3, „ეთირი" — „ბოტევი" 0:0, „პერნიკი" — „რუსე" 0:2, „ვიტოშა" — „სლავია" 5:2, „ჩერნომორეცი" — „სრედეცი" 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სრედეცი" | 22 | 65-17 | 37 |
| „ვიტოშა" | 22 | 44-29 | 28 |
| „ეთირი" (ტირნ.) | 22 | 36-22 | 25 |

**იუგოსლავია**

**24-ე ტური.** „ვოივოდინა" — „ვარდარი" 2:0, „ტუზლა" — „დინამო" 0:0 (4:3), „ჰაიდუკი" — „კრუშევაცი" 5:0, „ცელიკი" — „რადნიჩკი" 1:1 (5:4), „ნიში" — „ცრვენა ზვეზდა" 0:1, „რიეკა" — „ველეჟი" 2:1, „სარაევო" — „ოსიეკი" 0:0 (4:3), „სუბოტიცა" — „ჟელეზნიჩარი" 2:1, „პარტიზანი" — „ბუდუჩნოსტი" 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ვოივ." (ნოვი სად) | 24 | 34-22 | 31 |
| „რადნიჩკი" (ბელგ.) | 24 | 33-21 | 26 |
| „ცრვენა ზვეზდა" | 24 | 33-18 | 25 |

**შოტლანდია**

**31-ე ტური.** „დანდი იუნაიტედი" — „დანდი" 2:1, „ჰამილტონი" — „სელტიკი" 2:0, „ჰიბერნიანი" — „აბერდინი" 1:2, „რეინჯერსი" — „მოზერუელი" 1:0, „სენტ მირენი" — „ჰარტსი" 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეინჯერსი" | 31 | 52-22 | 48 |
| „აბერდინი" | 31 | 45-24 | 44 |
| „დანდი იუნაიტედი" | 31 | 41-21 | 40 |

**დანია**

**II ტური.** „ბრონშიო" — „ოდენსე-1913" 3:2, „ოდენსე ბკ" — „ბრონდბიუ" 0:4, „კოპენჰაგენი-1903" — „სილკებორგი" 3:2, „ფრამი" — „ვეილე" 1:0, „ორხუსი" — „ლუნგბიუ" 1:1, „ოლბორგი" — „ჰერფოლგე" 1:0, „იკასტი" — „ნესტვედი" 3:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბრონდბიუ" | 2 | 6-0 | 4 |
| „იკასტი" | 2 | 5-3 | 3 |
| „ორხუსი" | 2 | 3-1 | 3 |

**ავსტრია**

**ფინალური ტურნირი.** „ავსტრია" — „სენტ პოლტენი" 2:0, „ადმირა" — „რაპიდი" 3:2, „ტიროლი" — „ვინერ სკ" 2:1, „ვენა" — „გრაცერი" 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ტიროლი" | 27 | 57-27 | 26 |
| „ავსტრია" | 27 | 59-29 | 21 |
| „ადმირა" | 27 | 51-39 | 19 |

**საბერძნეთი**

**27-ე ტური.** „აპოლონი" — აეკი 2:1, „დოქსა" — „პაოკი" 1:0, „ეთნიკოსი" — „კალამარია" 4:1, „ირაკლისი" — „როდოსი" 3:0, „ლევადიაკოსი" — „პანიონისი" 2:1, „ოლიმპიაკოსი" — „ვოლოსი" 7:2, „ოფი კრეტა" — „ლარისა" 1:1, „არისი" — „პანათინაიკოსი" 1:3.

| | | | |
|---|---|---|---|
| აეკი | 27 | 48-20 | 39 |
| „ოლიმპიაკოსი" | 27 | 51-23 | 38 |
| „პანათინაიკოსი" | 27 | 43-28 | 34 |

**ჩეხოსლოვაკია**

**23-ე ტური.** „სპარტა" — „ვიტკოვიცე" 2:1, „შკოდა" — „ბოჰემიანსი" 2:0, „ტრნავა" — „დუკლა" 1:1, „ინტერი" — „რუდა ჰვეზდა" 2:0, „დუნაისკა სტრედა" — „ჰრადეც კრალოვე" 3:2, „ბანიკი" — „სლოვანი" 2:1, „ბანსკა ბისტრიცა" — „პლასტიკა" 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სპარტა" | 23 | 57-20 | 35 |
| „ბანიკი" | 23 | 35-21 | 32 |
| „პლასტიკა" | 23 | 29-28 | 27 |

**ინგლისი**

**34-ე ტური.** „ლივერპული" — „ლუთონი" 3:1, „ვესთ ჰემი" — „საუთჰემპტონი" 1:2, „ქუინს პარკი" — „მიდლსბრო" 0:0, „არსენალი" — „ნიუკასლი" 1:0, „მანჩესტერი" — „დერბი" 0:2, „უიმბლდონი" — „ტოტენჰემი" 1:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „არსენალი" | 33 | 62-32 | 66 |
| „ლივერპული" | 32 | 56-24 | 63 |
| „ნორვიჩი" | 32 | 43-35 | 56 |

(საქ. ინფ.)

# წარმატება იმედს გვაძლევს

## ა. ხარლამპიევის მემორიალი სამბოში

**სამბისტთა** პოპულარული საერთაშორისო ტურნირი — ა. ხარლამპიევის მეშვიდე მემორიალი აპრილის პირველ რიცხვებში გორში ჩატარდა. ამ შეჯიბრებამ, რომელშიც მსოფლიოს ბევრი უძლიერესი ათლეტი მონაწილეობდა, ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეთა მზარდი ოსტატობა გამოავლინა. არც ერთ მანამდე ჩატარებულ ტურნირში საქართველოს ამდენი პრიზიორი არ ჰყოლია. სულ მედლების კომპლექტები ექვსი გუნდის სამბისტებმა გაინაწილეს:

| | I | II | III |
|---|---|---|---|
| საქართველო | 5 | — | 4 |
| სსრ კავშირი | 3 | 6 | 1 |
| იაპონია | 2 | — | 6 |
| ბულგარეთი | — | 3 | 4 |
| საფრანგეთი | — | 1 | 3 |
| კუბა | — | — | 2 |

მეტი სიცხადისათვის ზემოთმოყვანილ ცხრილს კომენტარიც უნდა დავურთოთ. შეჯიბრების დებულების თანახმად ერთი ქვეყნის წარმომადგენლებს პირველ-მეორე ადგილებს არ აკუთვნებდნენ, თორემ ჩვენი რესპუბლიკის სამბისტებს უკეთესი მაჩვენებლებიც ექნებოდათ. ასე მაგალითად, 82 კგ წონითი კატეგორიის ფინალში ორი ქართველი ათლეტი — თემურ შეთეკაური და მამუკა წინამძღვრიშვილი იბრძოდა. გამარჯვება შეთეკაურს დარჩა, რომელსაც, ბუნებრივია, პირველი ადგილი მიეკუთვნა. აი წინამძღვრიშვილი კი არსებული წესის თანახმად, პრიზიორთა შორისაც ვერ მოხვდა, ანალოგიური მიზეზით დაიჩაგრა ამ წონაში კიდევ ერთი თბილისელი სამბისტი გურამ ქარჩაიძე, რომელმაც მოუგო მეორე ადგილზე გასულ ვიაჩესლავ გაიდუკევიჩსაც და მესამე პრიზიორს იაპონელ ხაგივარა კონოსუკესაც.

ფაქტობრივად, მეორე ადგილი ერგებოდა 90 კგ წონის ფინალისტს ზაზა ბერიკაშვილს და მძიმე წონოსანთა გადამწყვეტ ორთაბრძოლაში მოასპარეზე მიხეილ ხუმარაძეს. მაგრამ ერთ შემთხვევაში ვერცხლის მედალი ბაჰადირ ჰასანოვს (სსრ კავშირი) ერგო, მეორეში კი ბულგარელ მინჩო პეტკოვს.

ხუთი ოქროს მედალი, რომელიც რესპუბლიკის სამბისტებმა მოიპოვეს, ცხადია, კარგი შედეგია. საბჭოთა კავშირის ნაკრებს ამ ტურნირში ტრადიციულად ახალგაზრდული კოლექტივი გამოჰყავს და ქართველ მოჭიდავეთა ეს წარმატება ნაწილობრივ ამანაც განაპირობა. მაგრამ ობიექტურად ჩვენი სამბისტები ტურნირისათვის კარგად იყვნენ მომზადებული და ამდენად მათი გამარჯვება კანონზომიერად მიგვაჩნია.

მალხაზ ბერუაშვილი, ჯემალ მჭედლიშვილი და იოსებ ჯიჩოშვილი აშკარად სჯობდნენ მეტოქეებს და ამის გამო მათი წარმატება არავის გაკვირვებია. თემურ შეთეკაურს პირველ ადგილზე გასვლა მეტ-ნაკლებად გაუჭირდა, მაგრამ იმიტომ, რომ მას ღირსეული მეტოქეობა სწორედ თანაგუნდელებმა (წინამძღვრიშვილმა და ქარჩაიძემ) გაუწიეს.

დასამალი რაა, 74 კგ წონაში ჩვენ დაუგეგმავი პირველი ადგილი დავიკავეთ, მაგრამ ეს რამაზ გოგიაშვილის წარმატებას მეტ შნოსა და ლაზათს ჰმატებს. მთავარი კი ის გახლავთ, რომ გოგიაშვილის სახით ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებს ჰყავს ნიჭიერი და პერსპექტიული სამბისტი.

ა. ხარლამპიევის მემორიალი წლევანდელი სპორტული სეზონის თავისებური უვერტიურა გახლდათ. ივნისში ალმა-ათაში საკავშირო ჩემპიონატი გაიმართება. აქ გამარჯვებული სპორტსმენები ავტომატურად მსოფლიო ჩემპიონატში გამოსვლის უფლებას მიიღებენ. ამიტომაც ამ ტურნირის შედეგებს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ექნება, ვინაიდან ა. ხარლამპიევის მემორიალის შემდეგ მან საქართველოს სამბისტთა პოზიცია საკავშირო სარბიელზე ერთგვარად მაინც უნდა განამტკიცოს. როგორც ჩვენი ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, სპორტის ოსტატმა სპარტაკ ჯინორიძემ განაცხადა გუნდს ამ ტურნირზე ორი მედალი აქვს დაგეგმილი. კარგია თუ ეს მედლები უმაღლესი სინჯისა იქნება.

**ტექნიკური შედეგები.** 48 კგ. 1. ჰუსეინ ოსმანოვი (სსრ კავშირი), 2. ვალენტინ პავლოვი (ბულგარეთი), 3. ბონდო მარიდაშვილი (საქართველო) და ტაკახაში ჯიუნი (იაპონია).



**52 კგ.** 1. ვიქტორ ტიხონოვი (სსრ კავშირი), 2. დობრინ რადიონოვი (ბულგარეთი), 3. ტაკახაში ჯიუნი (იაპონია) და ვალენტინ პავლოვი (ბულგარეთი).

**57 კგ.** 1. კუბოი ხისაში (იაპონია), 2. ანდრანიკ ხაჩატრიანი (სსრ კავშირი), 3. ნიკოლაი გუშმაკოვი (ბულგარეთი) და ტაკახაში ჯიუნი (იაპონია).

**62 კგ.** 1. ტანაკა ტომოიუკი (იაპონია), 2. სტანისლავ ვასილიევი (სსრ კავშირი), 3. ანგელ პეტროვი (ბულგარეთი) და გია [illegible]შვილი (საქართველო).

**68 კგ.** 1 ჯაჯიკ საფარიანი (სსრ კავშირი), 2. ფრედერიკ მონტესპელიე (საფრანგეთი), 3. რაშიდ ისმაილოვი (სსრ კავშირი) [illegible] სიონ მიშელი (საფრანგეთი).

**74 კგ.** 1. რამაზ გოგიაშვილი (საქართველო), სერგეი ვალაბუევი (სსრ კავშირი), 3. ხაგივარა კონოსუკე (იაპონია) და ტარიენტე ორტა (კუბა).

**82 კგ.** 1. თემურ შეთეკაური (საქართველო), 2. ვიაჩესლავ გაიდუკევიჩი (სსრ კავშირი), 3. რენე ტრიმინიო (კუბა) და ხაგივარა კონოსუკე (იაპონია).

**90 კგ.** 1. ჯემალ მჭედლიშვილი (საქართველო), 2. ბაჰადირ ჰასანოვი (სსრ კავშირი), 3. ზაზა ბერიკაშვილი (საქართველო) და კუვანო კაცუხიკო (იაპონია).

**100 კგ.** 1. მალხაზ ბერუაშვილი (საქართველო), 2. მარიონას სუბოჩი (სსრ კავშირი) 3. ბრიუზა კრისტიანი (საფრანგეთი) და ივაილო ბორისოვი (ბულგარეთი).

**მძიმე.** 1. იოსებ ჯიჩოშვილი (საქართველო), 2. მინჩო პეტკოვი (ბულგარეთი), 3. მიხეილ ხუმარაძე (საქართველო) და ბრიუზა კრისტიანი (საფრანგეთი).

**შენიშვნა:** ერთსა და იგივე სპორტსმენს შეეძლო გამოსულიყო რამდენიმე წონით კატეგორიაში.

---

სსრ კავშირის

ჩემპიონატი კალათბურთში

# ფინიში სულ ახლოსაა

გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის რამდენიმე მატჩი.

**მინსკი.** ადგილობრივი რადიოტექნიკის ინსტიტუტის კალათბურთელებმა ჩემპიონატის ბოლო ორი მატჩი წააგეს მოსკოვის არმიელებთან — 106:108 (97:97, 43:45) და 92:96 (50:50).

**ალმა-ათა.** ასკ-მ დაამარცხა თბილისის „დინამო" 123:66 (66:33).

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 24 აპრილისთვის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „ჟალგ." (კაუნ.) | 44 | 38 | 6 | 82 |
| „სტროიტელი" (კ.) | 44 | 35 | 9 | 79 |
| ცსკა | 44 | 31 | 13 | 75 |
| ასკ (ალმა-ათა) | 43 | 29 | 14 | 72 |
| „დინამო" (მ.) | 42 | 23 | 19 | 65 |
| „სტატიბა" (ვილნ.) | 44 | 20 | 24 | 64 |
| „კალევი" (ტალ.) | 43 | 21 | 22 | 64 |
| რტი (მინსკი) | 44 | 16 | 28 | 60 |
| „დინამო" (თბ.) | 41 | 18 | 23 | 59 |
| „შახტ." (დონ.) | 44 | 12 | 32 | 56 |
| ვეფ (რიგა) | 44 | 10 | 34 | 54 |
| „სპარტ." (ლენ.) | 43 | 7 | 36 | 50 |

# დღევანდელი მატჩის მოლოდინში

**კალათბურთელ** ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი ჯერ არ დამთავრებულა, მთავარი სუპერფინალის პირველი მატჩი კი უკვე გაიმართა, კიევში ერთმანეთს შეხვდნენ ოქროს მედლების მთავარი პრეტენდენტები, ადგილობრივი „სტროიტელი" და კაუნასის „ჟალგირისი" („სტროიტელმა" გათამაშების ფინიშზე შეიცვალა სახელწოდება და „ბუდიველნიკი" გახდა). პირველი შეხვედრა, რომელსაც კიევის სპორტის სასახლეში რვა ათასი მაყურებელი დაესწრო, მასპინძლებმა მოიგეს — 97:94 (51:48). ჩვენ ამის შესახებ უკვე ვიუწყებოდით.

კიეველთა შორის ყველაზე პოპულარული კალათბურთელები იყვნენ: შაპტალა (25 ქულა) და პოდკოვიროვი (19), „ჟალგირისში" — საბონისი (25) და ხომიჩუსი (21).

განმეორებით მატჩს მეტოქეები ჩაატარებენ დღეს, 25 აპრილს კაუნასში.

# სსრ კავშირის ნაკრები მრთპირომნული ლიდერია

**სტოკჰოლმი.** ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატის მეექვსე ტურში განსაკუთრებით ყურადღებას იქცევდა ორი მატჩი. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მინიმალური უპირატესობით მოუგო კანადის გუნდს — 4:3, შვეციისა და ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტთა შეხვედრა კი ფრედ — 3:3 დამთავრდა.

სხვა ორი მატჩი ასე დამთავრდა: აშშ — ფინეთი 3:3, პოლონეთი — გფრ 5:3.

**გათამაშების ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრკ | 6 | 6 | 0 | 0 | 33-10 | 12 |
| შვეცია | 6 | 4 | 2 | 0 | 27-17 | 10 |
| კანადა | 6 | 4 | 0 | 2 | 41-16 | 8 |
| ჩეხოსლ. | 6 | 3 | 2 | 1 | 31-11 | 8 |
| ფინეთი | 6 | 1 | 1 | 4 | 19-24 | 3 |
| აშშ | 6 | 1 | 1 | 4 | 14-28 | 3 |
| პოლონეთი | 6 | 1 | 0 | 5 | 9-53 | 2 |
| გფრ | 6 | 0 | 2 | 4 | 16-31 | 2 |

გუშინ გაიმართა კიდევ ორი ცენტრალური მატჩი, რომლებშიც ერთმანეთს შეხვდნენ ჩეხოსლოვაკია-კანადის და შვეცია-სსრ კავშირის ჰოკეისტები. დღეს კი დამთავრდება ჩემპიონატის პირველი ეტაპი. პირველი-მეოთხე ადგილებისათვის მებრძოლი გუნდები ბრძოლას გააგრძელებენ 27, 29 აპრილსა და 1 მაისს. მეორე ოთხეულის შეხვედრები კი 26, 28 და 30 აპრილს გაიმართება.

# მსოფლიო ჩემპიონი პირველი იყო

**სან-მარინო.** „ფორმულა—1"-ის წლევანდელი გათამაშების მეორე ეტაპი მოიგო 1988 წლის მსოფლიო ჩემპიონმა, ბრაზილიელმა ავტომრბოლმა სენამ (1:26.51; საშუალო სისწრაფე — 201,939 კილომეტრი საათში).

გამარჯვებულს 40 წამით ჩამორჩა და მეორე ადგილზე გავიდა მსოფლიოს ექსჩემპიონი, ფრანგი ალენ პროსტი, რომელიც სენასთან ერთად „მაკლარენ-ჰონდას" გუნდის ღირსებას იცავდა. მესამე ადგილი ხვდა იტალიელ ალესანდრო ნანინის („ბენეტონ-ფორდი"), იგი ლიდერებს ერთი სრული წრით ჩამორჩა.



მსაჯთა კოლეგიამ შეჯიბრებიდან მოხსნა ტერი ჰოუტსენი (ბელგია) და ალექ კაფი (იტალია), რომლებმაც შესაბამისად მეოთხე და მეშვიდე ადგილები დაიკავეს. ორივეს ბრალად დაედო საბურავების გამოცვლა მსაჯთა თანხმობის გარეშე.

# პრიზი— 75 ათასი დოლარი

**ლისაბონი.** უფელმა ანდრეი ჩერკასოვმა მოიგო ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი —პორტუს თასის ფინალში მან ესპანელი ხავიერ სანჩესი დაამარცხა— 7:6, 7:5. ამ გამარჯვებისთვის საბჭოთა ჩოგბურთელს პრემიის სახით 75 ათასი დოლარი გადაეცა.

**ნიცა.** ანდრეი ჩერკასოვმა გაიმარჯვა გრან-პრის პროგრამით აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში. გადამწყვეტ შეხვედრაში მან ფრანგ ჟერომ პოტიეს აჯობა — 6:4, 6:4.

## I ლიგა

**განვლილ** შაბათს დონის როსტოვში შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების VI ტურის მატჩი ადგილობრივ არმიელთა გუნდსა და ქუთაისის „ტორპედოს" შორის. თამაში დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

## საქველმოქმედო მატჩი

**დორტმუნდი** (გფრ). აქ შედგა საქველმოქმედო საფეხბურთო მატჩი დასავლეთ გერმანიის „ბორუსიასა" და მოსკოვის დინამოელთა შორის. თამაში მოიგო „ბორუსიამ" — 3:1 (3:0). მატჩის მთელი შემოსავალი გადაეცემა შეფილდის სტადიონზე მომხდარი უბედურების მსხვერპლთა ფონდს.

# ათი სნაიპერი

**კალათბურთის** ეროვნული ასოციაციის (ნბა-ს) ჩემპიონატი ფინიშის სწორზე გავიდა. ტურნირის საუკეთესო სნაიპერთა ათეული ამ ეტაპზე ასე გამოიყურება: მაიკლ ჯორდანი („ჩიკაგო ბულსი") — 2412, კარლ მელოუნი („იუტა ჯაზი") — 2166, დელი ელისი („სიეტლსუპერსონიქსი") — 2034, ალექს ინგლიში („დენვერ ნაგითსი") — 2029, კლოდ დრექსლერი („პორტლენდ თრეილ ბლეიზი") — 1998, ჩარლზ მულინი („გოულდენ სტეიტ უორივორის") — 1990, დომინიკ უილკინსი („ატლანტა ჰოუქსი") — 1922. ჩარლზ ბერკლი („ფილადელფია 76") — 1873, სტივ ჩემბერსი („ფენიქს სანზი" 1862), აკიმ ოლაჯუონი („ჰიუსტონ როკეტსი") — 1845.

## „სპორტპროგნოზი"

**მე-17 ტირაჟის შედეგები**

**(22-23 აპრილი)**

1—1, 2—2, 3—X, 4—2, 5—X, 6—1, 7—1, 8—1, 9—1, 10—1, 11—1, 12—1, 13—2.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე შედეგს. სსრკ საფეხბურთო კავშირის თასის გათამაშების წესდების თანახმად თამაშზე გამოუცხადებლობის გამო კიევის „დინამოს" ჩაეთვალა წაგება.

## „სპორტლოტო"

**მოსკოვში** გუშინწინ გაიმართა „სპორტლოტოს" მორიგი, მე-17 ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** 2 (ბიატლონი), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 34 (ბალახის ჰოკეი), 37 (აკრობატიკა), 39 (ბადმინტონი), 43 (ტურიზმი).

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 10 (წყალბურთი), 21 (ცურვა), 28 (ტყვიის სროლა), 29 (სასტენდო სროლა).

რედაქტორი

თ. ბაჩეჩილაძე.



**ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი**

(ა. წერეთლის გამზირი № 2)

**28 აპრილი**

**ფეხბურთი**

სსრ კავშირის თასის მეოთხედფინალი

**„დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (მოსკოვი)**

დასაწყისი 19 საათზე

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 25 აპრილიდან 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათამდე), ხოლო ორგანიზაციებში — 25 და 26 აპრილს.

9 აპრილის მატჩზე შეძენილი ფეხბურთისა და ლატარიის მე-4 ტირაჟის ბილეთები ძალაშია 28 აპრილს.

აბონემენტების მფლობელებს ბილეთების შეძენა შეუძლიათ მე-7 სალაროში.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ბოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07149